# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

# ბრძანება № 6/29

ქ.თბილისი

„26" დეკემბერი 2016 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, 2017 წლის განმავლობაში, კომისიის ადმინისტრაციული შენობის დაცვის მომსახურების გამარტივებული წესით შესყიდვის მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა, ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ცოცხალი ძალის მეშვეობით დაცვის მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტისგან";
2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (რ. მორგოშია) წინამდებარე ბრძანების შეთანხმება სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად;
3. ბრძანება ძალაში შედის სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან" ბრძანების შეთანხმებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6) ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე